საქართველოს განათლების მინისტრის, საქართველოს ეკონომიკის მინისტრისა და საქართველოს ფინანსთა მინისტრის ერთობლივი ბრძანება №392/77/223

1996 წლის 3 სექტემბერი

ქ. თბილისი

1996-1997 სასწავლო წელს თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინგილოთა მოსამზადებელ განყოფილებაზე მსმენელების ჩარიცხვის შესახებ

საინგილოში მცხოვრები ახალგაზრდებისათვის საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში განათლების მიღებაში ხელშეწყობის მიზნით

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ თ:

§I

I. დაკმაყოფილდეს საქართველოს პარლამენტის განათლების, მეცნიერების და ტექნოლოგიების ქვეკომიტეტისა და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ინგილოთა საშეფო საბჭოს წინადადება თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინგილოთა მოსამზადებელ განყოფილებაზე I996-1997 სასწავლო წელს ინგილოებისათვის 70 ადგილის გამოყოფის შესახებ.

II. მოსამზადებელ განყოფილებაზე გასაუბრების წესით ჩაირიცხოს აზერბაიჯანის რესპუბლიკის კანის, ზაქათალის და ბელაქნის რაიონებში მუდმივად მცხოვრები 70 ინგილო აბიტურიენტი (აქედან 32 ადგილი კანის და 38 ადგილი ზაქათალის და ბელაქნის რაიონებისათვის).

III. კახის, ზაქათალის და ბელაქნის რაიონების აბიტურიენტებთან გასაუბრება ჩატარდეს საქართველოს განათლების სამინისტროს, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ინგილოთა საშეფო საბჭოსა და მიმღები კომისიის მიერ დადგენილ ვადებში ცალ-ცალკე, მათი მომზადების დონის გათვალისწინებით.

IV. თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინგილოთა მოსამზადებელ განყოფილებაზე ჩარიცხული მსმენელები, რომლებიც წარმატებით გაივლიან საკონტროლო-გამოსაშვებ გასაუბრებას, 1997-I98 სასწავლო წელს, გამოყოფილი ლიმიტების მკაცრი დაცვით, ჩაირიცხონ საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებლების შესაბამის სპეციალობებზე დამტკიცებული მისაღები კონტინგენტის ფარგლებში (№1 დანართის თანახმად).

§II

I. დაკმაყოფილდეს საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს წინადადება და დეპორტირებული მესხი აბიტურიენტებისათვის 1996-1997 სასწავლო წელს თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინგილოთა მოსამზადებელ განყოფილებაზე განსაზღვრული კონტინგენტის ზევით გამოიყოს I6 ადგილი (№1 დანართის შესაბამისად).

II. თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის მოსამზადებელ განყოფილებაზე დეპორტირებული მესხი აბიტურიენტებისათვის გასაუბრება-ჩარიცხვა ჩატარდეს არსებული წესის შესაბამისად, სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებლებისათვის დამტკიცებული მისაღები კონტინგენტის ფარგლებში.

საქართველოს განათლების მინისტრი

თ. კვაჭანტირაძე

საქართველოს ეკონომიკის მინისტრი

ვ. პაპავა

საქართველოს ფინანსთა მინისტრი

დ. იაკობიძე

დოკუმენტი მომზადებულია უმაღლესი,

საშუალო სპეციალური განათლებისა

და მეცნიერების დეპარტამენტში

გ. ლასხიშვილი

ფორმა №1

საინგილოს ქართველი აბიტურიენტებისათვის გამოყოფილი ადგილების ნუსხა საქართველოს სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებლების მიხედვით

№	უმაღლესი სასწავლებლის დასახელება	კახის რაიონი	ზაქათალის რაიონი		ბელაქნის რაიონი
			ალიაბადი	მოსული	
1	2	3	4	5	6
	I. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	2	2	1	1
1	სამართალმცოდნეობა	-	1	-	-
2	ბიოლოგია	1	1	-	-
3	ქიმია	-	1	-	-
4	საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობა	1	-	-	-
5	ქართული ენა და ლიტერატურა	-	1	-	-
6	აღმოსავლეთმცოდნეობა	1	-	-	-
7	ისტორია	-	1	1	1
8	ვაჭრობისა და საზ. კვების ეკონ. და მართვა	1	-	-	-
9	ჟურნალისტიკა	1	1	-	-
10	სასურსათო პროდუქტების საქონელმცოდნეობა	-	-	-	1
11	პოლიტეკონომიკა	1	-	-	-
	II. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი				
	საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობა	1	1	1	1
	ტრანსპორტის ეკონომიკური მართვა	1	-	1	-
	მანქანათმშენებლობ. ეკონ. და მართვა	1	-	-	-

	ნავთობისა და გაზის საბადოთა დამუშავება და ექსპლუატაცია	1	1	-	-
	III. საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი				
	დაკონსერვების ტექნოლოგია	1	-	-	-
	სამადუღრო წარმოება და მეღვინ. ტექნოლოგია	1	1	-	-
	მიწათმოწყობა	1	-	-	-
	სოფლის მეურნ. ავტ. და ელექტრიფიკაცია	1	-	1	-
	IV. თბილისის სამედიცინო უნივერსიტეტი				
	სამკურნალო საქმე	2	2	1	1
	პედიატრია	1	1	-	-
	ჰიგიენა, სანიტარია და ეპიდემიოლ.	1	-	-	-
	სტომატოლოგია	1	1	-	-
	ფარმაცია	-	-	1	-
	V. თბილისის სულხან-საბა ორბელიანის სახ. სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტი				
	გეოგრაფია-ბიოლოგიით	-	-	-	1
	ქიმია-ბიოლოგიით	1	-	1	-
	ბიოლოგია-ქიმიით	1	-	-	-
	ისტორია	-	-	1	-
	დაწყებითი სწავლების პედაგოგიკა და მეთოდიკა	1	1	-	-
	ხაზვა და სახვითი ხელოვნება	1	-	-	-
	VII. საქართველოს ზოოტექ-სავეტერინარო სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი				
	ზოოტექნიკა	1	-	-	-
	ვეტერინარია	1	1	-	-

	VIII. თბილისის ეკონომიკურ ურთიერთობათა ინსტიტუტი				
	ვაჭრობისა და საზ კვების ეკონ. და მართვა	1	-	-	-
	საერთაშორისო ეკონ. ურთიერთობა	-	1	-	-
	IX. თელავის პედაგოგიური ინსტიტუტი				
	გეოგრაფია-ბიოლოგიით	1	-	-	-
	ისტორია-სამართალმცოდნეობით	1	1	-	-
	დაწყ. სწავლ. პედაგოგიკა და მეთოდიკა	1	-	-	-
	სულ:	32	19	10	9

დანართი №1

დეპორტირებული მესხი აბიტურიენტებისათვის გამოყოფილი ადგილების ნუსხა საქართველოს სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებლების მიხედვით

I. თბილისის ივ.ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი – იურიდიული ფაკულტეტი – შვიდი ადგილი;

II. თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახ.სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალციხის ფილიალი – ეკონომიკის ფაკულტეტი – ორი ადგილი

ისტორიის ფაკულტეტი – ორი ადგილი

იურიდიული ფაკულტეტი – ერთი ადგილი

III. საქართველოს ფიზიკური კულტურის და სპორტის აკადემია – სამი ადგილი

IV. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტომატოლოგიური ფაკულტეტი – ერთი ადგილი.